№5

ივლისი, 2020წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

გოგი მეშველიანმა მკაცრი კარანტინის პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიში წარადგინა

გვ:2

თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი მუზეუმი ოფიციალურად გაიხსნა

გვ:3

ქალაქ ბოლნისის N 1 საჯარო სკოლას სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება, აღნიშნული სამუშაოების განსახორციელებლად მუნიციპალური განვითარების ფონდი ტენდერს აგვისტოს ბოლომდე გამოაცხადებს , 2,2 მილიონი ლარის ღირებულებით.

ასევე, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდება სოფელ ქვეშის საჯარო სკოლას, რომლის ღირებულება შეადგენს 1,1 მილიონ ლარს.

გოგი მეშველიანმა მკაცრი კარანტინის პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ ანგარიში წარადგინა

ბოლნისის მაჟორიტარმა დეპუტატმა გოგი მეშველიანმა, საზოგადოებას, მუნიციპალიტეტში მკაცრი კარანტინის პერიოდში გატარებული ღონისძიებების ანგარიში წარუდგინა. ისაუბრა, როგორ ცხოვრობდა მუნიციპალიტეტი საკარანტინო მდგომარეობის რეჟიმში და რამდენად ეფექტურად მოქმედებდა ხელისუფლება პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის პროცესში. ყურადღება გაამახვილა იმ ნაბიჯებზე, რომლებიც გადაიდგა კრიზისული სიტუაციის მართვის დროს და მადლობა გადაუხადა თითოეულ ადამიანს გამოჩენილი სამოქალაქო პასუხისმგებლობისა თუ პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლაში შეტანილი წვლილისთვის. ანგარიშის წარდგენა კითხვა-პასუხის რეჟიმში გაგრძელდა. შეხვედრას სამთავრობო, კერძო სექტორისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

შეგახსენებთ, რომ წითელ ზონად ბოლნისი 23 მარტს გამოცხადდა, ჩაიკეტა რიგი სოფლები. საკარანტინო რეჟიმი რამდენიმე თვე გაგრძელდა, ამ პერიოდში არაერთი

საქველმოქმედო, სოციალური თუ საინფორმაციო სახის აქცია ჩატარდა, უამრავი ადამიანი გაერთიანდა თანამოქალაქეების დასახმარებლად. პანდემიის პერიოდში, მაჟორიტარ დეპუტატთან ერთად, მოსახლეობასთან აქტიურ, ყოველდღიურ კომუნიკაციაში იყო მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი და ადგილობრივი ხელისუფლების სხვა წარმომადგენლები. წითელ ზონად აღიარებლ რეგიონში, მოწყვლადი კატეგორიის მოქალაქეებისთვის დაიწყო და აქტიურად მიმდინარეობდა სასურსათო პაკეტების გაცემა. ჯამში 14 837 პაკეტი დარიგდა. საბავშვო ბაღების 1278 აღსაზრდელს კი 263 512 ლარის ღირებულების საკვები პროდუქტი დაურიგდა. ერთჯერადი მატერიალური დახმარება გაეწია 253 მოქალაქეს, ხოლო 230 ადამიანი იქნა უზრუნველყოფილი მედიკამენტებით, 22 მოქალაქეს დაუფინანსდა მკურნალობა, ხოლო 25 დიაგნოსტიკური კვლევა. გოგი მეშველიანის ინიციატივით, ქრონიკული დაავადების მქონე 230 პირს გადაეცა ინდივიდუალური დაცვის საშუალებები(პირბადე, ხელთათმანი). 83-მა ოჯახმა კი მიიღო ჩვილ ბავშვთა კვება. ასევე საკარანტინო პერიოდში მიმდინარეობდა მიუსაფარი ცხოველების გამოკვება. აქტიურ რეჟიმში, ყოველდღიურად ხორციელდებოდა პისიარ მეთოდით ნიმუშების აღება და თერმოსკრინინგი.

კარანტინის პერიოდში ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების გათვალისწინებით მუნიციპალიტეტში აქტიურად მიმდინარეობდა ინფრასტრუქტურული სამუშაოები და შეუფერხებლად განაგრძობდნენ მუშაობას ადგილობრივი საწარმოები.

ეპიდემიოლოგიური თვალსაზრისით საქართველოს მასშტაბით ყველაზე მეტად დაზიანდა ბოლნისის მუნიციპალიტეტი, აქ სულ 192 კოვიდ ინფიცირებული დაფიქსირდა, სამწუხაროდ 4 გარდაიცვალა, დანარჩენი კი გამოჯანმრთელდა.

რთული გამოწვევის წარმატებით დაძლევის შემდეგ, როგორც მთელი ქვეყანა, ასევე ბოლნისის მუნიციპალიტეტიც ნელ-ნელა ჩვეულ რეჟიმს უბრუნდება.

ძლიერმა ქარმა და სეტყვამ ბოლნისის მუნიციპალიტეტის ათი სოფელი დაზარალა

ბოლნისის მუნიციპალიტეტში ძლიერი ქარისა და სეტყვის შედეგად სოფლები: ტანძია, ძველი ქვეში, ძეძვნარიანი, კიანეთი, ფოცხვერიანი, ჭრეში, იწრია, ქვეში, ქვემო ბოლნისი და ხატისოფელი დაზარალდა.

დაზარალებულ სოფლებში ადგილზე ვითარებას ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე ბუბა გობეჯიშვილი, სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსთან კონსტანტინე კორძაძესთან ერთად გაეცნო.

სტიქიამ ზიანი საკარმიდამო ნათესებს მიაყენა. წაქცეულია რამდენიმე ხეც. პირველადი დათვალიერებით, საცხოვრებელი სახლები ძლიერად არ დაზიანებულა. ამ ეტაპზე დაზარალებულ სოფლებში მუშაობას აგრძელებს სპეციალური კომისია, რომელმაც მოსახლეობისთვის მიყენებული ზარალის ოდენობა უნდა დაადგინოს. დაზარალებულ მოსახლეობას ზიანი მუნიციპალიტეტის დადგენილი წესის შესაბამისად აუნაზღაურდება.

თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი მუზეუმი ოფიციალურად გაიხსნა

ეროვნული მუზეუმების ინსტიტუციას, კიდევ ერთი ახალი, ბოლნისის მუზეუმი შეემატა. თანამედროვე, საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილი მუზეუმი ოფიციალურად გაიხსნა. გახსნას ესწრებოდნენ: ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენლები, ქვემო ქართლში სახელმწიფო რწმუნებული შოთა რეხვიაშვილი, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩის მოადგილე იან ბიტნერი, საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორი დავით ლორთქიფანიძე, მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრები და გოეთეს ინსტიტუტის თანამშრომლები. XXI საუკუნის რეგიონული მუზეუმის კარი ჟურნალისტებისთვისაც გაიღო და მედიატური გაიმართა.

დავით შერაზადიშვილი, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერი:

- მოხარული ვარ, რომ ბოლნისს თანამედროვე სტანდარტებთან შესაბამისი მუზეუმი აქვს, რომლის სამეცნიერო კონცეფცია უდაოდ გამორჩეულია. მუდმივმოქმედი ექსპოზიციის გარდა, აქ დროებითი საგამოფენო სივრცეცაა მოწყობილი, დიდი ყურადღება ეთმობა ჩვენი რეგიონის ისტორიას და რაც მთავარია, გერმანულ წარსულს, ვფიქრობ, ეს ვიზიტორებისთვის ძალიან საინტერესოა. მსურს, დიდი მადლობა გადავუხადო კომპანია „არემჯის“, რომლის ფინანსური დახმარებითაც აშენდა ეს გრანდიოზული სივრცე. მუნიციპალიტეტში, ტურიზმის განვითარებისთვის, არაერთ პროექტს ვახორციელებთ და ეს ტურისტების მოზიდვაში აუცილებლად დაგვეხმარება. დარწმუნებული ვარ, ახალი მუზეუმი ბოლნისის მუნიციპალიტეტის ისტორიული წარსულის სამეცნიერო კვლევას ხელს აქტიურად შეუწყობს.

გოგი მეშველიანი, დეპუტატობის კანდიდატი:

- ბოლნისში არაჩვეულებრივი, ულტრათანამედროვე მუზეუმი გაიხსნა . ეს არის მულტიკომპლექსური სივრცე, სადაც ბევრი სხვადასხვა აქტივობის გამართვა იქნება შესაძლებელი. ვფიქრობ, ეს ადგილი ძალიან მნიშვნელოვანი შენაძენია ბოლნისის ტურისტული პოტენციალის განვითარებისთვის.

დავით ლორთქიფანიძე, ეროვნული მუზეუმის დირექტორი:

- ეს არის საუკეთესო საშუალება, მომავალ თაობებს გავაცნოთ ჩვენი ქვეყნის მდიდარი წარსული, ძალიან იშვიათად არის შესაძლებლობა, ერთ სივრცეში, ასე სრულყოფილად მოყვე საკუთარი ქვეყნის ისტორია.

ბოლნისის მუზეუმი, ქალაქის ფედერალურ გზასთან, ტურისტულად ზუსტად გათვლილ ლოკაციაზე აშენდა. აქ განათლება, მეცნიერება და კულტურაა შერწყმული. შენობაში თითოეული მიმართულებისთვის შესაბამისი ლოკაციაა განთავსებული და ყველა მათგანს, ინდივიდუალური შესასვლელები აქვს. აქ თავმოყრილია, ექსპონატის მიღებიდან დამუშავებამდე ყველაფერი. ბოლნისის

სამუზეუმო-საგანმანათლებლო სივრცის პროექტირებაზე საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრომ კონკურსი 2015 წელს გამოაცხადა, კონკურსში გაიმარჯვა კომპანია ,,არქიტექტორები ჯი“, არქიტექტურული პროექტის ავტორია გაგა კიკნაძე. 2016 წელს კი დაიწყო სამშენებლო სამუშაოები, რომელიც რამდენიმე წლის განმავლობაში გაგრძელდა. აღსანიშნავია, რომ სწორედ ეს ჯგუფი მუშაობდა სვანეთის მუზეუმის რეაბილიტაციის პროექტზე. მუზეუმის სამეცნიერო კონცეფციაზე, ქართველ მეცნიერებთან ერთად, დასავლელმა სპეციალისტებმაც იმუშავეს. განახლებული პროექტი დაფინანსებულია კომპანია ,,RMG''-ის მიერ.

გაგა კიკნაძე, ბოლნისის მუზეუმის არქიტექტურული პროექტის ავტორი:

- ამ პროექტზე მუშაობა მას შემდეგ დავიწყე, რაც არქიტექტურულ კონკურსში გავიმარჯვე, რომელიც კულტურის სამინისტრომ გამოაცხადა. გვინდოდა სადა, თავშეკავებული არქიტექტურის ყოფილიყო, აქაც მწვანე სახურავებია გამოყენებული, ერთადერთი არქიტექტურული აქცენტი არის საკონფერენციო დარბაზი. შენობის შიგნით განთავსებულია ყველაფერი, რაც თანამედროვე მუზეუმს სჭირდება.

მაია ქართველიშვილი,ფონდების კურატორი:

- პირველ დარბაზში წარმოდგენილია დმანისის არქეოლოგიურ ფენებში დაფიქსირებული ყველაზე ძველი ეპოქა - ქვის ხანის პერიოდი. დმანისში აღმოჩენილი ჰომინიდებისა და ცხოველთა განამარხებული ნაშთები. ასევე ქვის იარაღები 1.8 მილიონი წლით თარიღდება. არსად მსოფლიოში, აფრიკაშიც კი არ არის აღმოჩენილი ასეთი მრავალფეროვანი, ამ ასაკის კოლექცია, თანაც ერთი არქეოლოგიური კონტექსტიდან. მსოფლიო სამეცნიერო საზოგადოებამ ერთხმად აღიარა, რომ დმანისში აღმოჩენილი ჰომინიდის ნაშთები 1.8 მილიონი წლით თარიღდება და რომ ისინი უძველესია აქამდე აღმოჩენილი ნებისმიერი ჰომინიდის ნაშთთა შორის, რომელიც აფრიკის კონტინენტის გარეთაა ნაპოვნი. მეორე დარბაზში წარმოდგენილია უძველესი ადრესამიწათმოქმედო პერიოდი, რომელიც ჩვენს მხარეშია დადასტურებული. ქვემო ქართლი წარმოგვიდგება მევენახეობის და მეღვინეობის უძველეს ცენტრად, სადაც VII-VI ათასწლეულის დასაწყისიდან მოყოლებული, რამდენიმე ძეგლზე (არუხლოს გორა, შულავერის გორა, გადაჭრილი გორა, ხიზანაანთ გორა და სხვა). გვხვდება ვაზის წიპწები და ღვინის დამზადების მთელი რიგი ნიშნები. აქ ნაპოვნია კულტურული ხორბალი და პარკოსნების ნაშთები, სამეურნეო იარაღები და თიხის ჭურჭელი, რითაც მტკიცდება, რომ ნეოლითის ხანაში აქ დასახლებული ადამიანი უკვე განვითარებულ სამეურნეო საქმიანობას, მათ შორის მევენახეობას და მემარცვლეობას ეწეოდა. ისტორიკოსებმა ამ გორანამოსახლარებს შულავერ-შომუთეფეს კულტურა უწოდეს. ამავე დარბაზში წარმოდგენილია ადრეული მეტალურგია. 2004 წელს არქეოლოგიურმა ექსპედიციამ საყდრისის ტერიტორიაზე გამოავლინა მაღაროები. მესამე დარბაზში წარმოდგენილია ქვემო ქართლის ადრეფეოდალური ხანის ძეგლები, სტელებისა და ქვაჯვარების სახით.

საერთაშორისო სტანდარტების შესაბამის შენობაში მთავარ ღირებულებას მუდმივმოქმედი ექსპოზიცია და ასევე, საგამოფენო სივრცე წარმოადგენს. ადგილზეა განთავსებული ფონდები, სამეცნიერო ლაბორატორიები, აუდიტორია, ბავშვთა საგანმანათლებლო სივრცე, ბიბლიოთეკა-მედიათეკა

და საზოგადოებრივი სივრცეები. საექსპოზიციო სივრცეებში, სამეცნიერო მნიშვნელობის არქეოლოგიური მასალა და ხელოვნების ნიმუშებია გამოფენილი, ძირითადად საქართველოს ეროვნული მუზეუმის კოლექციებიდან, უძველესი მეტალურგიის ამსახველი არტეფაქტები, მათ შორის საყდრისიდან და ბოლნისის მხარეთმცოდნეობის მუზეუმიდან. აქვე დაცულია ბოლნისში არქეოლოგიური გათხრების შედეგად მოპოვებული მასალა, რომლის ქრონოლოგია მოიცავს ახალი ქვის ხანიდან გვიან შუა საუკუნეებს. მათ შორისაა ნეოლითის პერიოდის მასალები; მიწის დასამუშავებელი იარაღები და ქვის სკულპტურები.

მუზეუმში ასევე გამორჩეული ადგილი უკავია 200 წლის წინ სამხრეთ გერმანიიდან საქართველოში ჩამოსახლებული გერმანელების ისტორიას, მათი ცხოვრების ამსახველ ექსპოზიციას. აქვე განთავსებულია გოეთეს ინსტიტუტის მედიათეკა, რომელიც ვიზიტორებს სთავაზობს თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილ, მყუდრო სამუშაო გარემოს, სივრცეს საქმიანი და შემოქმედებითი შეხვედრებისთვის, გერმანული ენის უახლეს სახელმძღვანელოებს,შემეცნებითი, მხატვრული და დარგობრივი წიგნების ბიბლიოთეკას, ფილმებისა და აუდიომასალის კოლექციას. აღსანიშნავია, რომ ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც გოეთეს ინსტიტუტმა, რომელიც მსოფლიოს 90-ზე მეტ ქვეყანაშია წარმოდგენილი, მუზეუმში მედიათეკა გახსნა.

,,მე, როგორც გერმანიის საელჩოს თანამშრომელი, ვულოცავ ქალაქს ამ არაჩვეულებრივ კულტურულ ძეგლს და ვუსურვებ წარმატებას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი მოვლენაა გერმანული მხარისთვისაც, რადგან, გერმანული კულტურა ძალიანაა დაკავშირებული ბოლნისთან. დარწმუნებული ვარ, ამ არაჩვეულებრივ მუზეუმს ბევრი სტუმარი ეყოლება არა მხოლოდ ბოლნისიდან, მთელი საქართველოდან და ევროპიდანაც,“ განაცხადა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ელჩის მოადგილემ იან ბიტნერიმ.

ბოლნისის მუზეუმი 1951 წელს დაარსდა, როგორც მხარეთმცოდნეობის მუზეუმი. 2020 წელს იგი საქართველოს ეროვნულ მუზეუმს შეუერთდა. დღეს ბოლნისის მუზეუმი საქართველოში ერთ-ერთი თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისია. მუზეუმი ქმნის მულტიფუნქციურ-საგანმანათლებლო პლატფორმას, რომელიც ორიენტირებულია ყველა ასაკისა და ინტერესის ვიზიტორზე. ის წარმოადგენს სახელოვნებო ცენტრს, შემოქმედებით სივრცეს, გართობისა და შემეცნების ადგილს ბავშვებისათვის. ადგილობრივი სკოლების სხვადასხვა საფეხურის მოსწავლეებისთვის ჩატარდება სასკოლო გაკვეთილები.

საქართველოს ეროვნული მუზეუმის გუნდის რამდენიმე წლიანი მუშაობის შედეგია ქვემო ქართლის საგანმანათლებლო, ტურისტული და სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ერთ სივრცეში გახსნა. წარმოდგენილი ექსპოზიცია წარმოაჩენს ქვემო ქართლის ისტორიას, რეგიონის უნიკალურობას და საქართველოს, როგორც მსოფლიოს ერთიანი სისტემის ნაწილს მრავალი მიმართულებით:რეგიონის ბუნების მრავალფეროვნება,უძველესი მიწათმოქმედება,უძველესი მეტალურგია,ადრეული დამწერლობა,- ქართული დამწერლობის საფუძვლები და ქრისტიანული კულტურის ისტორია.

ნონა ხუზმიაშვილი

,,პერსონა 2020“-ის დამსახურებული სტატუსი

პედაგოგის მრავალშვილიან ოჯახში გაიზარდა, იქ სადაც სითბო, სიყვარული და ერთმანეთზე ზრუნვა გაორმაგებულია, სწორედ ამ ჯანსაღ გარემოში გაჩნდა სურვილი გამხდარიყო ექიმი. მოსკოვური 6 წლიანი, კარიერული წინსვა საქართველოში გააგრძელა, დარეჯან ექიმის სტატუსი და მადლიერი პაციენტების სიყვარულიც მალევე მოიპოვა, მას მერე 30 წელი გავიდა, მრავალი გადარჩენილი, ახლად დაბადებული სიცოცხლე და თეთრად გათენებული ღამეებია დარეჯან ექიმის ანგარიშზე. იყო პოლიტიკაც, რეჟიმთან დაპირისპირებაც, ცხელ წერტილებში დგომა, სხვადასხვა ამპლუაში თავის მოსინჯვა, იქაც წარმატება და ცნობადობა, მაგრამ საბოლოოდ მისთვის ყველაზე სასურველი, საყვარელი და ყველაზე დამსახურებული, ხალხის სიყვარულით გაჯერებული დარეჯან ექიმის სტატუსია. ეს ის შემთხვევაა, როდესაც ღვაწლი, შრომა და პროფესიონალიზმი ფასდება, აღიარებამაც არ დააყოვნა და რეგიონში, მედიცინის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის, ექიმ-გინეკოლოგს, ცენტრალური საავადმყოფოს ერთ-ერთ დამფუძნებელს და საქართველოს მე-8-ე მოწვევის პარლამენტის - ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრს დარეჯან ჩხეტიანს წელს „პერსონა 2020“-ის ტიტული გადაეცა. ცერემონია 2013 წლიდან იმართება და სფეროს განვითარებისა და ხელშეწყობისთვის ყოველწლიურად 1000-დან 50 წარმატებული ადამიანი ჯილდოვდება. 21 კაციანი ბორდი, განათლების, კულტურის, მედიცინის, ბიზნესისა და სხვა სფეროს თვალსაჩინო წარმომადგენლებს აღნიშნული წოდებით აჯილდოვებს. დარეჯან ჩხეტიანთან ერთად, მედიცინის განვითარების სფეროში შეტანილი წვლილისთვის, „პერსონა 2020“-ის ტიტული მარინა ეზუგბაიამ, ლევან რატიანმა, ანი ახალაიამ, კოტე ქავთარაძემ და გიორგი ასლამაზაშვილმა მიიღეს.

,,პროექტი მეშვიდე წელია ტარდება, ჰყავს სპეციალურად შერჩეული 21 კაციანი ბორდი, რომელიც სხვადასხვა პროფესიის ადამიანებისგანაა დაკომპლექტებული, გასულ წლებში „პერსონას“ ტიტული მიღებული აქვთ: ლეილა აბაშიძეს, მარიკა კვალიაშვილს, თამარ სხირტლაძეს, გიული ჩოხელსა და სხვებს. დარეჯან ჩხეტიანი ბორდის ერთ-ერთმა წევრმა, დავით გელაშვილმა დაასახელა და სხვა წევრებმაც სრული მხარდაჭერა გამოხატეს,“განაცხადა პროექტის იდეის ავტორმა, იოსებ კავკავიშვილმა.

- ქალბატონო დარეჯან, „პერსონა 2020“-ის ტიტულით დაჯილდოვდით, რამდენად მნიშვნელოვანი და საპასუხისმგებლოა თქვენთვის ეს სტატუსი?

- ნამდვილად სასიამოვნო სიახლეა, რა თქმა უნდა, გახარებს ის ფაქტი, როდესაც შენს ღვაწლს ხედავენ და აფასებენ. გულწრფელად ვამბობ, საქართველოში უამრავი ექიმია, ჩემზე გამოცდილი და უკეთესი, რაღაც მომენტში უხერხულადაც ვიგრძენი თავი, ეს ტიტული რომ მერგო. ძალიან დასაფასებელი და საპასუხისმგებლოა 50 ღირსეულ და წარმატებულ პიროვნებას შორის, რომ დასახელდები. ეს კიდევ უფრო გაძლიერებს, გავალდებულებს და მოტივირებულს გხდის, უფრო მეტი გააკეთო, იშრომო, თავი არ დაზოგო და საკუთარი წვლილი შეიტანო იმ სფეროში, სადაც მოღვაწეობ.

- რა არის ის, რაც დაგეხმარათ პროფესიული წარმატების მიღწევაში?

- პირველ რიგში ძალიან მიყვარს შრომა, ვარ მუდამ ახლის ძიებაში, წარმატებას ვერ მიაღწევ, თუ მაქსიმუმს არ გააკეთებ და ბოლომდე არ დაიხარჯები.

- რა არის ის მთავარი, რომელიც კარგ ექიმს აუცილებლად უნდა ჰქონდეს?

- ჩემ პროფესიაში სიზუსტე და სისწრაფე აუცილებელია. კარგი ექიმი მატერიალურ მხარეზე არ უნდა ფიქრობდეს, პაციენტთან ბოლომდე უნდა დაიხარჯო, გამოიყენო ყველა შესაძლებლობა, მიიღო როგორც შენიანი და გაითავისო მისი გაჭირვება, მაშინ ხარ შემდგარი და კარგი ექიმი, იღებ იმ სითბოსა და სიყვარულს, რომელიც მადლიერი პაციენტიდან მოდის.

- ქალბატონო დარეჯან, 2012-2016 წლებში იყავით საქართველოს მე-8-ე მოწვევის პარლამენტის წევრი, თქვენ წარმატებული ექიმი ხართ, რატომ გადაწყვიტეთ, გამხდარიყავით პოლიტიკოსი?

-მე არ ვარ პოლიტიკოსი, პოლიტიკაში ვიყავი მცირე ხნით, მაშინდელი ხელისუფლების ქმედებებმა პროტესტი გამიჩინა, გადავწყვიტე უკანონობას ბოლნისიდან შევბრძოლებოდი. შემდეგ დავბრუნდი იქ, სადაც ხალხს ესაჭიროებოდა.

-გაქვთ მიზანი, რასაც აუცილებლად უნდა მიაღწიოთ?

-ჩემი მიზანია, ბიზნესპარტნიორთან ერთად, ბოლნისსა და რეგიონს შევთავაზო ერთ-ერთი წარმატებული, ინოვაციური, თანამედროვე ტექნოლოგიით და პროფესიონალი მედპერსონალით დაკომპლექტებული კლინიკა, სადაც ბოლნისელებს ადგილზე შეეძლებათ ისარგებლონ, ყველა სამედიცინო სერვისით.

-ქალბატონო დარეჯან, რა არის თქვენი ოცნება?

-როგორც ყველა ქართველის, ისე ჩემი ოცნებაა დავიბრუნოთ დაკარგული ტერიტორიები, ადამიანებს ერთგულება, თანადგომა, სითბო და სიყვარული გვაერთიანებდეს. ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა (პანდემიამ) კიდევ ერთხელ დაგვანახა კაცობრიობას, რომ მატერიალური ღირებულებები ბევრად უმნიშვნელოა, ვიდრე სიცოცხლე და სიყვარული. მინდა ვისარგებლო შემთხვევით და მადლობა გადავუხადო ყველა იმ ადამიანს, ვინც რთულ პერიოდში გვერდში მედგა, მამხნევებდა, მხარს მიჭერდა და ჩემს მიმართ სითბოსა და სიყვარულს გამოხატავდა. ჩემი შრომისთვის უდიდესი ჯილდო, მადლობა და სიყვარულია, ამაზე უკეთესი საჩუქარი კი არ არსებობს.

მარინა გავაშელი

ბოლნისელი პარამკლავჭიდელის წარმატებული სპორტული ცხოვრება

ჯადოსნურიმა სიტყვებმა, რომ ის ყველაფერს შეძლებს, ჩვენი გმირის ცხოვრება რადიკალურად შეცვალა. მოყვარულის დონეზე დაწყებულ ვარჯიშს სულ სხვანაირი განვითარება მოჰყვა. მკლავჭიდი, სპორტის ამ სახეობაზე უზომოდ შეყვარებული ადამიანის ყოველი დღე იწყება და მთავრდება ვარჯიშით, მისი ოცნებაც და სამომავლო გეგმებიც მთლიანად ამ სპორტს უკავშირდება.

ბოლნისის მკვიდრმა დავით ელოშვილმა ქვეყნის სახელი სხვადასხვა ჩემპიონატზე არა ერთხელ გააჟღერა. პარამკლავჭიდელი დავით ელოშვილის სპორტული ცხოვრების ისტორია ჩვენს რუბრიკაში.

დავით ელოშვილი, დაიბადა 1997 წლის 14 ნოემბერს ბოლნისში, ჰყავს მშობლები და და ძმა, ბევრი მეგობარი, დაკავებულია საყვარელი სპორტით, მკლავჭიდით.

-დავით, ხარ სპორტსმენი, მკლავჭიდში არა ერთი პრიზის მფლობელი, როდიდან დაიწყე ვარჯიში, ან სპორტის ამ სახეობით როდის დაინტერესდი?

-ბავშვობიდან ვვარჯიშობ, ძალიან ხშირად ვუყურებდი ტელევიზიით მკლავჭიდს, ვაკვირდებოდი ტექნიკას, ერთ მშვენიერ დღესაც ვუთხარი ამის შესახებ მშობლებს.

-როგორ შეხვდნენ მშობლები შენს გადაწყვეტილებას?

-მშობლებს ძალიან მოეწონათ ჩემი გადაწყვეტილება, გაუხარდათ, რომ სპორტით დავკავდებოდი, მეტად განვვითარდებოდი, ჩემი ოჯახი ცდილობს, რომ ყველანაირად შემიწყოს ხელი, მეც მინდა გავამართლო მათი იმედები, წინსვლებიც მაქვს. მამაჩემმა მიმიყვანა ქალაქ თბილისში, პარაცენტრში, სადაც ახლა ვვარჯიშობ. პარაცენტრი ანუ პარასპორტის განვითარების ცენტრი 2015 წელს გაიხსნა ქალაქ თბილისში, ის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზეა სრულიად ადაპტირებული, ერთად-ერთი პარასპორტული ცენტრია საქართველოში, სადაც 180-მდე პარასპორტსმენი ყოველდღიურად სპორტის 14 სახეობაში ვარჯიშობს.

-როგორი გარემოა ცენტრში და რამდენად მნიშვნელოვანია აღნიშნულის არსებობა?

-პარაცენტრში ძალიან კარგი გარემოა, იქ კარგად ვგრძნობ თავს, უამრავი მეგობარი მყავს, ჩემი გუნდელები ჩემი მეგობრები არიან. ვფიქრობ, რომ ასეთი ცენტრები რეგიონებშიც უნდა ფუნქციონირებდეს, რადგან ბევრი შშმ პირია რეგიონებში, მათაც რომ შეძლონ განვითარება.

-დავით, შენ საკმაოდ წარმატებული სპორტსმენი ხარ, რაშიც დიდი წვლილი მიუძღვის შენს ტრენერს, მისმა სიტყვებმა და გვერდში დგომამ შენი ცხოვრება შეცვალა.

-თავიდან რომ მივედი ამ სპორტზე მოყვარულის დონეზე ვიყავი, ვფიქრობდი, რომ არაფერი გამომივიდოდა, თუმცა პირველი საქართველოს ჩემპიონატი რომ მოვიგე, ჩემმა ტრენერმა მითხრა „შენ გაქვს მონაცემები, თუ ივარჯიშებ და ყურადღებას მიაქცევ, დიდ წარმატებას მიაღწევ, შენგან დიდი სპორტსმენი დადგებაო“. ვასო დაუთაშვილია, ტრენერი, ვინც დამაწყებინა ამ სპორტზე ვარჯიში, მასწავლა ხელის გადაწევის ტექნიკა. ამ ადამიანმა დიდი წვლილი შეიტანა ჩემს ცხოვრებაში, მამხნევებდა და მეუბნებოდა, რომ ყველაფერს შევძლებდი.

-დავით, როგორც ვიცით მემარცხენე ხარ, სწორედ მარცხენა ხელის გადაწევაში გაქვს არაერთი საპრიზო ადგილი მოგებული.

-დიახ, 15 წლის ასაკში არა ერთი პრიზი მაქვს მოგებული მარცხენა ხელში, რომელიც ძალიან ძლიერი მაქვს. მარცხენათი სულ პირველი ადგილები მაქვს აღებული,

მარჯვენით II-III ადგილს ვიღებ ყოველ წელს. თითოეული ჩემი გამარჯვება დიდი შრომის შედეგია, დარბაზში 2-3 საათი ვვარჯიშობ, დამატებით სახლშიც. თავდაპირველად შიდა შეჯიბრებაში ვაპირებდი მონაწილეობას, რთული ვარჯიშები გამოვიარე. ახლა უფრო ხშირად ვერთვები ჩემპიონატებში.

-აღნიშნულ სპორტს შენს ცხოვრებაში განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, თუ გაქვს თავისუფალი დრო და რას აკეთებ ამ დროს?

-ყველაზე მეტ დროს მაინც ვუთმობ ამ სპორტს, მოგეხსენებათ პარამკლავჭიდელი ვარ, ვვარჯიშობ ბევრს, ჯანმრთელობის მხრივაც უკეთესობა მაქვს. თავისუფალ დროს მიყვარს მეგობრებთან ყოფნა, თითოეულ მათგანს ბევრი პოზიტივი შემოაქვს ჩემს ცხოვრებაში, ერთმანეთს ვუზიარებთ კარგ რაღაცეებს, როდესაც დაღლილი ვარ, ვუსმენ წყნარ მუსიკას.

-დასასრულს, მოგვიყევი სამომავლო გეგმებზე.

-ყველა ჩემი სამომავლო გეგმა სპორტს უკავშირდება, ვაპირებ კიდევ ბევრჯერ მოვიგო ტურნირები. სანამ შემეძლება ვასახელო ჩემი ქვეყანა და უცხო ქვეყნებიდან ბევრი საპრიზო ადგილი ჩამოვიტანო. მე ამისთვის ძალას და ენერგიას არ ვზოგავ და ყოველდღიურად ვვარჯიშობ.

-გისურვებთ წარმატებებს!

ნონა ხუზმიაშვილი

კაცი, რომელიც დააკლდა ყველას

დრო ბევრ რამეს შლის... გადის წლები და იმ რეალური ცხოვრების ნაცვლად, რომელიც ადამიანებმა გაიარეს, ხშირად შეთხზული მითების ამარა ვრჩებით, ბიოგრაფები წერენ ბიოგრაფიებს, ადამიანები მოდიან, ცხოვრობენ და მოულოდნელად მიდიან, ვხედავთ მათ, ვმეგობრობთ, ვცხოვრობთ მათთან ერთად, ჩვენთვის თითოეულის ცხოვრება ან სამაგალითოა, ან საერთოდ გვავიწყდება, მაგრამ ყველაზე მთავარი, რაც ბოლომდე ამოუცნობი რჩება ის არის, თუ რას ფიქრობდა თავად თავის წარსულზე, რა მიაჩნდა უფრო მნიშვნელოვნად და რა არა, ვინ იყო მისთვის ყველაზე ანგარიშგასაწევი ადამიანი, რა იყო პრიორიტეტი და ცხოვრების ლაიტმოტივი.

ზურაბ ხვედელიძე, კაცი, რომელიც დააკლდა ყველას გულს და გონებას, დაიბადა 1955 წლის 1 ივლისს, რამდენიმე კვირის წინ 65 წელი შეუსრულდა. იგი გახლდათ უამრავი სპექტაკლის, კონცერტის, ფესტივალის შემოქმედი, სულისჩამდგმელი, ორგანიზატორი, მონაწილე საქართველოსა თუ მის ფარგლებს გარეთ, გამორჩეული ხელოვანი, იყო საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის თეატრალური მიმართულების ხელმძღვანელი, 1998 წლიდან მთავარი რეჟისორი და ბოლნისის მუნიციპალური თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი.

ბოლნისის თეატრში დადგმული მისი სპექტაკლები:

მამუკა დოლიძის - „მდგმურები“; ლაშა თაბუკაშვილის - „ათვინიერებენ მიმინოს“, „სადღაც ცისარტყელას მიღმა“; გიორგი ერისთავის - „გაყრა“, „ძუნწი“; რაფიელ ერისთავის - „ჯერ დაიხოცნენ მერე იქორწინეს“; აკაკი გეწაძის - „შუაზე გაყოფილი ცრემლი“; მიხეილ ჯავახიშვილის - „მუსუსი“; დათო ტურაშვილის - „ორი კუნძული შავ ზღვაში“; ვახტანგ ანდიაშვილის - „ფენტეაფობია“; თამარ ფხაკაძის - „გაფრენა“, „მატარებელი არ მოვა“; მიხო მოსულიშვილის - „ჩემო მეუოლია“; ბასა ჯანიკაშვილის - „მშვიდობით თემურ“, „სულიკო“; ალექს ჩიღვინაძის - „სიკვდილის დღის საჩუქარი“; რატი ქართველიშვილის - „შაპიტო“; ნინო მირზიაშვილის - „მეცეკვე ტანგო“; ნოდარ დუმბაძის - „ბოშები“ და სხვა მრავალი. იყო დამდგმელი რეჟისორი მუსიკალურ-ეთნოგრაფიული სპექტაკლისა „წუთისოფელი“, რომელმაც დიდი აღიარება მოუტანა ბოლნისს.

ზურაბ ხვედელიძის როგორც ხელოვანის, რეჟისორის, თეატრალის მოღვაწეობა ხალხური შემოქმედების სახლში დაიწყო და 40 წელზე მეტი ემსახურა სახალხო თეატრების – უძველესი ქართული კულტურის – მოვლის, შენარჩუნებისა და აღორძინების დიდებულ საქმეს.

მას სულ ცოტახნის წინ, 65 წლის იუბილესთან დაკავშირებით, ბოლნისის მუნიციპალიტეტის საპატიო მოქალაქის წოდება მიენიჭა. შემოქმედებითმა კავშირმა-საქართველოს თეატრალურმა საზოგადოებამ კი საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ბატონი ზურა “ამაგდარი” -ს წოდებით დააჯილდოვა.

დავით შერაზადიშვილი, მუნიციპალიტეტის მერი:

- ბატონმა ზურაბ ხვედელიძემ, ბოლნისის მუნიციპალური თეატრისა და მუნიციპალიტეტის კულტურული ცხოვრების განვითარებაში, დიდი წვლილი შეიტანა, სწორედ ამიტომ, მას საპატიო ბოლნისელის წოდება მიენიჭა. ბატონი ზურაბის ნიჭიერება და ინდივიდუალიზმი უდაოდ დააკლდება ქართულ თეატრალურ სამყაროს. ბედნიერი ვარ, რომ მასთან ურთიერთობის, მეგობრობის შესაძლებლობა მქონდა და რაც მთავარია, მისი რეჟისურით დადგმული არაერთი სპექტაკლის ნახვის შანსი მომეცა. თითოეულ ბოლნისელს ვუსამძიმრებ ამ შესანიშნავი პიროვნების გარდაცვალებას. მისი სახელი და შემოქმედება თითოეულ ჩვენგანს ყოველთვის ემახსოვრება.

ნინო ალადაშვილი, მსახიობი:

- ზურა საოცარი ადამიანი იყო...მე და ჩემი თაობა თეატრში ზურას გამოწრთობილ-გაზრდილები ვართ. საუკეთესო მეგობარი და მასწავლებელი იყო. 23 წელი ვიმუშავე მასთან და არ მახსოვს როდესმე შევექეთ, მაქსიმალისტი იყო. უამრავი თეატრალი მეგობარი შეგვძინა საქართველოსა და მის ფარგლებს გარეთ. ყოველთვის მადლიერი ვიქნები მისი, რადგან, თუ რამეს წარმოვადგენ თეატრალურ ასპარეზზე, მისი დამსახურებაა, მიყვარს და მეყვარება.

ზურა ხაფთანი, მსახიობი:

-ადამიანის ცხოვრებაში ხანდახან პატარა, ერთი შეხედვით უმნიშვნელო მომენტები, რადიკალურად ცვლის ყველაფერს. ბატონ ზურასთან ჩემი ურთიერთობა შემთხვევით დაიწყო. გავიგე, რომ ბოლნისის თეატრი, სპექტაკლში მთავარი როლის შემსრულებელს ეძებდა, მეგობარმა შემომთავაზა კასტინგში მიგვეღო მონაწილეობა, მას მერე ბოლნისის თეატრის დიდი ოჯახის წევრი გავხდი და ეს ბატონი ზურას დამსახურებაა. მან მომცა საშუალება, ამეხდინა ჩემი დიდი ხნის ოცნება, თუნდაც ერთხელ მეთამაშა სპექტაკლში. ბატონმა ზურამ ჩემ მსახიობად ჩამოყალიბებაში, ძალიან დიდი როლი ითამაშა. გული მწყდება, რომ სიტყვიერად მადლობა ვერ გადავუხადე, თუმცა საქმით ყველაფერს ვაკეთებდი, რომ მისთვის იმედი არასდროს გამეცრუებინა. მადლობა ყველაფრისთვის, ბატონო ზურა.

ნატო ყიფშიძე, მსახიობი:

-მახსოვს პირველი შეხვედრა, მისი თბილი, მშვიდი, გაწონასწორებული ხმა და საოცრად ლამაზი ცისფერი თვალები, ამომხედა და გამიღიმა. არასოდეს გაქებდა, თუმცა მის გამომეტყველებაში ყველაფერი ნათელი იყო. საოცრად მეგობრული, იშვიათი თვისებებით, გამორჩეული იყო. მადლობა მინდა ვუთხრა, დიდი თეატრის ოჯახში რომ მიმიღო, მასთან გატარებული ყოველი წუთისთვის. დაუსრულებლად შემიძლია საუბარი, თუმცა წარსულში მიჭირს. ბატონო ზურა, მიყვარხართ, მენატრებით, შევხვდებით.

სალომე გამყრელიძე, მსახიობი:

-ის იყო ადამიანი, რომლის თვალებშიც იკითხებოდა მთელი სამყარო, ადამიანი, რომელმაც თავისი კვალი დატოვა არა მხოლოდ ქართულ თეატრში, არამედ ყველას გულში, ვისთანაც კი შეხება ჰქონია, კვალი - ნათელი და ღრმა! წავიდა, მაგრამ არ დაგვტოვა, ყოველთვის დარჩება ჩვენს გულებში, ისეთივე კეთილშობილი და თბილი... გვიყვარხართ ბატონო ზურა და გემშვიდობებით.

თაკო რეხვიაშვილი, მსახიობი:

ზურაბ ხვედელიძე რეჟისორი, ადამიანი, რომელიც იყო ძლიერი, მომთხოვნი, მიზანდასახული, პუნქტუალური, ნიჭიერი და შრომისმოყვარე. ცოტა ხნით მომიწია ურთიერთობა, მაგრამ დავინახე რეპეტიციებზე მისი დამოკიდებულება მსახიობისადმი, ის იყო დიდი, მაგრამ უბრალო ადამიანი. ითხოვდა მაქსიმუმს მსახიობებისგან, დიდ შრომას დებდა და ეს ჩანდა კიდეც მის სპექტაკლებში. მახსოვს ერთი მსახიობი ჩავანაცვლე სპექტაკლში „ სიკვდილის დღის საჩუქარი“ და ეს წამები არასოდეს დამავიწყდება. ბოლოს ოთარ ჭილაძის სიტყვები აქვს მის გვერდზე, რომელიც ძალიან დასაფიქრებელია, „ვიბადებით, რათა შევცოდოთ და ვიხოცებით, რათა განვიწმინდოთ!....

დარეჯან ოქრუაშვილი

ანსამბლ ,,იმედის“ მორიგი წარმატებული გამოსვლა საერთაშორისო კონკურს-ფესტივალზე

ბოლნისის კულტურის სახლთან არსებული ბავშვთა საესტრადო ანსამბლი ,,იმედი'', ხელმძღვანელი ლაურა დურგლიშვილი, ხელოვნების მე-18 საერთაშორისო ფესტივალ-კონკურსში ,,ნარინჯისფერი ქობულეთი-2020'' გრანპრით დაჯილდოვდა. აღნიშნულ ფესტივალს ქობულეთი უკვე მეთვრამეტედ მასპინძლობს, რომლის მიზანია ქართული ხალხური სიმღერების, ცეკვების, საესტრადო და სამეჯლისო ხელოვნების პოპულარიზაცია- განვითარება, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტული ხალხური კულტურის მარგალიტების შეკრება და წარმოჩენა, ანსამბლი ,,იმედი'' ფესტივალ -კონკურსზე ტრადიციულად, ყოველ წელს, წარმატებით მონაწილეობს და სხვადასხვა საპრიზო ადგილებს იკავებს, ამჯერად ბოლნისელი პატარები, ქობულეთიდან, გრანპრით ხელდამშვენებულები დაბრუნდებიან.

,,2008 წლიდან ყოველწლიურად წარმატებით ვმონაწილეობთ ამ კონკურს - ფესტივალში, გასულ წელს დავიკავეთ პირველი ადგილი, ამჯერად კი მოვიპოვეთ უმაღლესი ჯილდო - გრან პრი. ძალიან საინტერესო და მნიშვნელოვანი ფესტივალია,ბავშვები იღებენ დიდ გამოცდილებას, მონაწილეებს კომპეტენტური ჟიური აფასებს. აღსანიშნავია, რომ ,,იმედი'' ფესტივალზე კომპანია ,,არემჯის'' მხარდაჭერით იმყოფებოდა, რისთვისაც ანსამბლის თითოეული წევრის სახელით მადლობას ვუხდით კომპანია ,,არემჯის“ აღმასრულებელ დირექტორს ბატონ თორნიკე ლიპარტიას და კორპორაციული დირექტორის მოადგილეს, საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ბატონ ირაკლი შატაკიშვილს,'' განაცხადა ბოლნისის კულტურის სახლთან არსებული, საბავშვო-საესტრადო ანსამბლ ,,იმედის'' ხელმძღვანელმა ლაურა დურგლიშვილმა.

„როცა მოვიწყენ დავხატავ და ვიცეკვებ ჩემი ინტერპრეტაციით“

„ცხოვრება მშვენიერია, უნდა დატკბე და მაქსიმალურად გამოიყენო ყოველი წამი“. ასე იწყებს საუბარს 14 წლის ენერგიული, პოზიტივით სავსე, მხიარული ელენე ჟღენტი, რომელმაც პანდემიის პერიოდში, საკუთარი შესაძლებლობები მეტად რეალიზებული გახადა. ჯერ კიდევ მეცხრე კლასელი, არაერთი საინტერესო კონკურს-ფესტივალის, კულტურულ-საგანმანათლებლო და შემეცნებითი ღონისძიებების წარმატებული მონაწილეა, არასოდეს ჩერდება, მუდამ სწავლობს, ეცნობა სიახლეებს, საკუთარ თავზე ირგებს და წარმატებასაც აღწევს.

„გარდა სასკოლო ცხოვრებისა, ჩემი მისწრაფებაა ვიყო აქტიური, არაფორმალური განათლების მიმართულებით, ვარ ჩართული არაერთ კულტურულ, თუ საგანმანათლებლო სასწავლო პროექტებში და სხვადასხვა შინაარსის ღონისძიებაში, რომელიც ხელს უწყობს ჩემს პიროვნულ ზრდას და მიყალიბებს ბევრ სასიკეთო უნარ-ჩვევას“, ამბობს ელენე.

უკვე 10 წელია „500 თავდადებული ბოლნელის“ სახელობის ბავშვთა და მოზარდთა ქორეოგრაფიული ანსამბლის „ბოლნელის“ მოცეკვავეა, მიღებული აქვს მონაწილეობა უამრავ ფესტივალსა და კონკურსში როგორც საქართველოში, ისე მის საზღვრებს გარეთ.

„ოთხი წლიდან ვდგავარ სცენაზე, ცეკვა ჩემი ცხოვრების შემადგენელი ნაწილია. მოგეხსენებათ ხელოვანების ოჯახი, მამა და ძმები ცეკვავენ, ძალიან პატარა ასაკიდან ვადევნებ თვალს, ამიტომ ჩემთვისაც სცენა განუყოფელ ნაწილად იქცა, ეს მოხდა ყოველგვარი ძალდატანების გარეშე. როდესაც სცენაზე მაყურებლის წინ ვდგავარ, ისეთი შეგრძნება მაქვს, ჩიტივით ჰაერში დავფრინავ და ზეციდან ვადევნებ თვალს დაბლა სამყაროს, უამრავ კონკურს-ფესტივალში გვაქვს მიღებული მონაწილეობა, ჩვენი გასტროლები შინაარსობრივად მრავალფეროვანია, დატვირთულია სხვა ბევრი აქტივობით. ძალიან მიყვარს სამხატვრო მუზეუმების დათვალიერება, სწორედ ამან შემაყვარა ხატვა, ეს მამას დამსახურებაა, წელს თანამედროვე ბალეტითაც დავინტერესდი“.

ელენე დროს უქმად არასოდეს კარგავს, რამდენიმე წელია შესაძლებლობები სამუსიკო განხრითაც სცადა, ზაურ ხუჯაძის სახელობის სამუსიკო სკოლაში ფორტეპიანოს ეუფლება, როგორც თავად ამბობს, სიდიადე და თავისუფლება ხელოვნებაშია.

-საკმაოდ დაკავებული ხარ, როდის იცლი ხატვისთვის?

-ვხატავ ექვსი წლიდან, ვხატავ მაშინ, როცა მარტო ვარ საკუთარ თავთან, ემოცია, შინაგანი მდგომარეობა ფურცელზე გადმომაქვს, ეს ყველაზე კარგი შეგრძნებაა. კლასიკური მუსიკის თანხლებით სხვა ჰარმონიაა, აუცილებლად მარტო უნდა ვიყო და მუზაც ჩემთანაა, არ შემიძლია სხვების თანდასწრებით ხატვა, ახლა ძირითადად, აბსტრაქტულ ნამუშევრებს ვქმნი, ძალიან მიზიდავს ეს მიმართულება, ერთი შეხედვით რთული აღსაქმელია, თუმცა საინტერესო და შინაარსიანია. ყველა ნახატი ამბავს გვიყვება, შეიძლება ჩემი თავიც დავხატო, მუზა ხატვის პროცესში მოდის.

-ძირითადად, როგორ ფერებს ხმარობ და შენი პირველი ნახატი.

-ჩემი ფერები ფერადია, თბილი, მხიარული, თუმცა არის პერიოდი, როდესაც მუქი ფერებიც საჭიროა, რაც შეეხება პირველ ნახატს, ძალიან კარგად მახსოვს. მაშინ დედა საზღვარგარეთ აპირებდა წასვლას. მახსოვს ის განცდა, რომელიც ფურცელზე გადმოვიტანე, დავხატე დედა-შვილი „მე და დედა“ და ვაჩუქე დედას, დიდხანს ჰქონდა კედელზე გაკრული, რამაც საზღვარგარეთ წასვლა გადააფიქრებინა.

-კარანტინის პერიოდი როგორ გაატარე?

-პანდემიამ და საკარანტინო რეჟიმმა სხვა რეალობის წინაშე დაგვაყენა, გადავედით დისტანციურ რეჟიმზე, მოვწყდი აქტიურ ცხოვრებას, თუმცა ძალიან შინაარსიანად გამოვიყენე ეს დღეები, ბევრ რამეზე დავფიქრდი, ჩავერთე ონლაინ პროექტებში და წარმატებებსაც მივაღწიე, გადავლახე და დავძლიე ის შიშები, რომელიც საჯარო გამოსვლის დროს მქონდა, ჩემ თავში სხვა შესაძლებლობები დავინახე, კარანტინის პერიოდში ჩავერთე საქართველოს საგანმანათლებლო დებატების ასოციაცია EDAG პროექტში „ონლაინ საჯარო დებატები“, ასევე არასამთავრობო ორგანიზაცია ქვემო ქართლის ქალთა ასოციაცია „ქალი და სამყაროს“ პროექტში „ქალთა რადიო WW“-თვის, სადაც ვესწრები ჟურნალისტური დახელოვნების ტრენინგ-სემინარებს, რომლის დამთავრების შემდეგ მივიღებ მოხალისე ჟურნალისტის სტატუსს და აქტიურად ვითანამშრომლებ ქალთა რადიოსთან. გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით და ახალგაზრდობის სააგენტოსთან პარტნიორობით, გავხდი არასამთავრობო ორგანიზაციის „ჰელფინგჰენდი“-ს მიერ ორგანიზებული მოხალისეობრივი პროექტის „ახალგაზრდებისთვის COVID 19-ის გამოწვევების საპასუხოდ“ მონაწილე. მყავს შინაური ცხოველები, რომელსაც კარანტინის დროს მეტად დავუახლოვდი და შევიყვარე.

-რა შექმენი კარანტინის დროს?

--ამ პერიოდში ჩემს მიერ შექმნილ ნამუშევრებში, ადამიანის სულიერი მდგომარეობა, შიში და გაურკვევლობაა გადმოცემული - კარანტინის დღეები, ასე ვუწოდე ამ ნახატებს, თუმცა, ამ თვეების მანძილზე, არაერთი სხვა მხიარული ფერებითაც ვხატავდი, განწყობიდან გამომდინარე. პანდემიის დროს შექმნილ ნამუშევრებს ჩემს ძმებს ვანახებდი, მათი აზრი მაინტერესებდა, ისე ჩემთვის ვხატავ, აქ ჩემი ემოციაა. იმისთვის, რომ მეტად გავზრდილიყავი ამ კუთხითაც, დავიწყე ხატვის წრეზე სიარული მაია მაისურაძესთან. ჩემს ოჯახში ყველას თავისი საქმეს აქვს, მუდმივად სწავლობენ, ახალ გამოწვევებსა და სიახლეებს ეცნობიან, მეც ასე ვარ, ოჯახის წევრების დახმარებით ხის ნაჭრებზეც, სპორტულ ფეხსაცმელზეც ვხატავ, ვაკეთებ სამკაულებს.

-სამომავლოდ, ხომ არ ფიქრობ გამოფენის მოწყობას?

-რატომაც არა, ძალიან მინდა. საერთოდ ნახატების ჩუქება მიჭირს, თუმცა სამომავლოდ ვაპირებ ბიზნესად ვაქციო სპორტული ფეხსაცმლის მოხატვა.

ასევე სოციალური ქსელიდან ვსწავლობ წყალზე ხატვის ხელოვნებასაც. ვცდილობ შესაძლებლობები ყველა კუთხით მოვსინჯო, რაშიც ძალიან მეხმარება ჩემი სკოლა და მასწავლებლები.

-სად ხედავ წლების შემდეგ შენს თავს?

-ხელოვნების კუთხით წავალ, ვფიქრობ დიზაინს ან თეატრალურს ავირჩევ, საზღვარგარეთ მივიღებ ცოდნას, რასაც აუცილებლად გავუზიარებ ჩემს ქვეყანას, სკოლას. ასევე გავაგრძელებ საყვარელ საქმეს, როცა მოვიწყენ, დავხატავ და ვიცეკვებ ჩემი ინტერპრეტაციით.

მიუხედავად პატარა ასაკისა, ელენეს საკმაოდ მრავალფეროვანი ბიოგრაფია აქვს, ძალიან აქტიური ახალგაზრდაა, უამრავ პროექტებშია ჩართული და დიდი სამომავლო გეგმებიც აქვს. გაზეთი „ბოლნისის“ სახელით, მინდა მას და სხვა ნიჭიერ ახალგაზრდებს, წარმატებები ვუსურვო.

მაგდა დევნოზაშვილი

რა უნდა ვიცოდეთ ბოტულიზმის შესახებ!

რა დაავადებაა ბოტულიზმი?

_ ბოტულიზმი მეტად მძიმე ინფექციური დაავადებაა, რომელიც უვითარდება ადამიანს იმ საკვები პროდუქტის (კონსერვების, ძეხვის, შებოლილი თევზის) მიღების შედეგად, რომელიც შეიცავს ბაქტერიულ ტოქსინთა შორის ყველაზე ძლიერ ეგზოტოქსინს (ბოტულოტოქსინი).

რა ნიშნები ახასიათებს და რამდენად საშიშია იგი ადამიანისათვის?

_ ბოტულიზმით დაავადების დროს დასაწყისშივე ყურადღებას იპყრობს დარღვევები მხედველობის მხრივ.

_ ავადმყოფი ბუნდოვნად და გაორებულად ხედავს, თითქოს ბურუსშია. კითხვისას ასოები იფანტება. თვალების მოძრაობა შეზღუდულია ან შეუძლებელი.

_ მხედველობის მოშლასთან ერთად ვლინდება ყლაპვის და მეტყველების მოშლა.

_ ავადმყოფი საკვებს ვერ ყლაპავს, უჭირს ენის მოძრაობა. უჭირს ლაპარაკი, გაურკვევლად ლუღლუღებს. ავადმყოფს აქვს თავბრუსხვევა, კუნთების სისუსტე, მუცლის შებერილობა, პირის სიმშრალე.

_ დაავადების დროული და სათანადო მკურნალობის გარეშე მდგომარეობა ძალიან მძიმდება და ავადმყოფი იღუპება სუნთქვისა და გულის გაჩერებით.

როგორ ხდება საკვები პროდუქტის დაბინძურება ბოტულიზმის მიკრობით ?

_ ბოტულიზმის გამომწვევი ბინადრობს მსხვილ და წვრილფეხა რქოსანი საქონლის, ღორის, ცხვრის, თევზების, ფრინველების ნაწლავებში. გამოიყოფა განავალთან ერთად და ხვდება ნიადაგში, სადაც იგი გარდაიქმნება გარემოში მეტად გამძლე ფორმად (სპორად).

როგორ ხდება ბოტულიზმის გამომწვევის მოხვედრა კონსერვში?

_ბოტულიზმის გამომწვევით დაბინძურებული ნიადაგით ინფიცირდება საკვები პროდუქტები ბოსტნეული,ხილი,სოკო,მარცვლეული, წყალი, და სხვა. საკვებ პროდუქტებში გამომწვევი მრავლდება და გამოიმუშავებს ძლიერ ეგზოტოქსინს, მხოლოდ უჟანგბადო პირობებში. ამიტომ ბოტულიზმით ადამიანი ავადდება კონსერვების, ძეხვის, შაშხის, შებოლილი, დამარილებული თევზის ჭამის შედეგად, თუ ეს პროდუქტები დაბინძურებული იყო ცხოველთა ნაწლავების შიგთავსით ან გამომწვევის შემცველი ნიადაგით და მათი დამუშავებისას არ იყო დაცული შესაბამისი სანიტარული წესები. დაინფიცირებული პროდუქტი იცვლის ფერს, იძენს თავისებურ სუნს, კონსერვები აირების დაგროვების შედეგად ამოიბურცება (ბომბაჟი). ამობურცული კონსერვის, შეცვლილი სუნისა და ფერის პროდუქტის საკვებად გამოყენება არ შეიძლება.

როგორ შეიძლება ავიცილოთ ბოტულიზმი თავიდან?

_ ბოტულიზმის თავიდან აცილების ძირითადი ღონისძიება არის ის, რომ საკვები პროდუქტები დაკონსერვების წინ ძალიან კარგად უნდა გაირეცხოს, რათა სრულად განთავისუფლდეს მიწისა და /ან ნაწლავების შიგთავსისაგან, რომელიც შეიცავს ბოტულიზმის გამომწვევს. საიმედო მეთოდად ითვლება სათანადო სტერილიზაცია მაღალი წნევის და ტემპერატურის (120) პირობებში, რომლის მიღწევა შესაძლებელია ქარხნული წესით კონსერვების დამზადებისას. ბინის პირობებში ჩატარებული სტერილიზაციით კი თითქმის შეუძლებელია მიღწეულ იქნას გამომწვევის გამძლე ფორმების სრული (სპორების) მოსპობა. ამიტომ ბინის პირობებში ზუსტად უნდა იქნას დაცული პროდუქტის დამუშავების სათანადო წესები (პროდუქტი უნდა გაირეცხოს ზედმიწევნით კარგად). მოხმარების წინ დაკონსერვებული პროდუქტი თერმულად უნდა დამუშავდეს 20-30 წუთის განმავლობაში.

ბოლო პერიოდში ბოტულიზმით დაავადების მიზეზი უმეტესად შინ დამზადებული კონსერვებია.

- ბოტულიზმზე საეჭვო ყველა ავადმყოფი დაუყოვნებლივ უნდა მოთავსდეს საავადმყოფოში და ჩაუტარდეს სათანადო მკურნალობა. ხოლო იმ პირებს, რომელთაც ავადმყოფთან ერთად მიიღეს საეჭვო ინფიცირებული პროდუქტი უკეთებენ ბოტულიზმის საწინააღმდეგო შრატს.

გახსოვდეთ!!!

არ უნდა შეიძინოთ კუსტარულად დამზადებული შებილილი თევზი(სათალი) შაშხი, ძეხვი და კონსერვები;

კონსერვების შინაურ პირობებში დამზადებისას შეარჩიეთ ახალი პროდუქტები და გულმოდგინედ გარეცხეთ, თავი შეიკავეთ ისეთი პროდუქტების ჰერმეტულად დაკონსერვებისაგან, რომელთა გარეცხვის დროს ნიადაგის უმცირესი ნაწილაკების მოხვედრის ალბათობა დიდია. მუავე კიტრი, პომიდორი ჯობს დავამზადოთ ტრადიციულად, მოხუფვის გარეშე;

საკვები პროდუქტები, მათ შორის კონსერვები შეინახეთ ცივ ადგილას;

არ უნდა იხმაროთ საკვებად შებერილი('' ბომბაჟიანი'') კონსერვები. დაკონსერვებული პროდუქტები მოხმარების წინ აუცილებლად უნდა ააადუღოთ ან კარგად შეწვათ არანაკლებ 15 წუთისა, ასევე თერმულად უნდა დამუშავდეს წვრილ ნაჭრებად (სისქით არაუმეტეს 1სმ) დაჭრილი ყველა საეჭვო პროდუქტი.

ბოტულიზმის დაავადების შემთხვევები ბოლნისის მუნიციპალიტეტშიც ფიქსირდება.

2018 – 2019 წლებში ბოტულიზმის შემთხვევას ადგილი არ ჰქონია.

2020 წლის იანვარის თვეში ბოლნისის მუნიციპალიტეტში დაფიქსირდა ბოტულიზმის ორი შემთხვევა. გამომწვევი მიზეზი ორივე შემთხვევაში იყო სახლის პირობებში დამზადებული პომიდვრის მარინადი. რაც დაადასტურა კერაში ეპიდემიოლოგიურმა და ბაქ.ლაბორატორიულმა გამოკვლევამ.

ლეტალობას ადგილი არ ჰქონია.

ახალგაზრდა შემოქმედის გაბედული ფიქრები

ცხრამეტი წლის ზეინაბ მეხტიევას თანასოფლელები ახალგაზრდა, ნიჭიერ შემოქმედად იცნობენ, პოეზიას პატარა ასაკში ეზიარა, შეიცვალა მისი ცხოვრებაც, ყველა განცდა, ემოცია თუ გრძნობა ფურცელზე გადაიტანა, თავდაპირველად წერდა ჩუმად თავისთვის, კალამის ხელში აღებისთანავე მუზაც მოდიოდა, პირველი ლექსი დედას მიუძღვნა, თუმცა შერცხვა და სიმართლე არ გაამხილა, „პირველი ლექსი 3 მარტს დედას მივუძღვენი, როცა წავაკითხე არ ვუთხარი, მე რომ დავწერე, ბუნებით ძალიან მეამბოხე ვარ, წერა კი ძალიან მეხმარება, ვწერ ყველაფერზე, სიყვარულზე, სულიერ მდგომარეობაზე, ადამიანებზე. ძმა მყავს, რომელსაც ჯანმრთელობის პრობლემა აქვს, მთელი მისი ცხოვრება ერთ ლექსში ჩავტიე, ჩემმა მშობლებმა, როდესაც ეს ლექსი ნახეს, მიხვდნენ, რომ ვწერ“.

გაიზარდა, გამბედაობაც მოემატა, ადრე თუ მალავდა, ახლა პირიქით, ყველას თამამად უზიარებს, უკითხავს ლექსებს, ჩანახატებს, პატარა მოთხრობებს. საკუთარი შემოქმედება სოციალურ ქსელშიც განათავსა, ყველასგან მოწონება და მხარდაჭერა იგრძნო.

„ოჯახი ძალიან მიდგას გვერდში, ყველა ჩემს გადაწყვეტილებას მხარს უჭერენ, ვსწავლობ მარნეულის სამედიცინო კოლეჯში, პირველ კურსზე, აქტიური ვარ, უმოქმედობა არ მიყვარს, სულ რაღაცას ვაკეთებ.“

მისი შემოქმედება ყველანაირ თემატიკას ეხება, ლექსებში სიმარტივე და სიხალისეა. გრძნობს დიდ ძალას, რომელიც აიძულებს წერას. ამ ხნის განმავლობაში 70-მდე ლექსი აქვს შექმნილი. მომავალში, საკუთარი ნამუშევრების პატარა კრებულად გამოცემას და მკითხველების წინაშე თავისი შემოქმედების წარდგენას აპირებს.

მაგდა დევნოზაშვილი

არემჯი

სიახლეები

რიჩ მეტალს გრუპი

„არემჯიმ“ მდინარე მაშავერაში ფარგა დააბრუნა

მრავალი წლის წინ გადაშენებული, ბუნების ძირძველი ბინადარი ფარგა მდინარე მაშავერას დაუბრუნდა. თევზის წყალში გაშვება საზეიმოდ მოხდა. საქართველოს მდინარეებსა და ტბებში იქთიოფაუნისთვის მნიშვნელოვანი სახეობის დაბრუნება, კომპანია „არემჯის“ და ჟურნალ „ველური ბუნების“ ერთობლივი ძალისხმევით განხორციელდა. დიდი შრომის შედეგად, გასულ წელს, აზერბაიჯანიდან საქართველოში ცოცხალი თევზის გადმოყვანის პირველი პრეცედენტი მოხდა.

კახაბერ მჭედლიშვილი, კომპანია „არემჯის“ კორპორაციული დირექტორი:

- ეს პროექტი დავიწყეთ დაახლოებით წელიწადნახევრის წინ, ძალიან ბევრი სირთულის მიუხედავად, ეს დღე შედგა და ათიათასობით ლიფსიტა, ეტაპობრივად ჩაეშვება საქართველოს მდინარეებსა და ტბებში. ეს არის კომპანია „არემჯის“ მიერ განხორციელებული, კიდევ ერთი წარმატებული პროექტი, რომელიც ჩვენი მაღალი, სოციალური პასუხისმგებლობის პროგრამის ფარგლებში განვახორციელეთ.

გოჩა კობერიძე, ჟურნალ „ველური ბუნების“ მთავარი რედაქტორი:

- გახარებული ვარ იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოში დაიწყო სხვა ეტაპი. გარდა იმისა, რომ ჩვენ ვახდენდით კონსერვაციას, დავიწყეთ იმ სახეობების დაბრუნება, რომელიც გვყავდა და გაქრა, ფარგა არის ერთ-ერთი სახეობა, იმ მთელი რიგი გადაშენებული თევზის სახეობებიდან, კარგად შეგუებულია ამ გარემოს, ვინაიდან ის ამ მდინარეებში ცხოვრობდა. გადაშენებული თევზების დაბრუნების პროცესი კომპანია „არემჯის“ დახმარებით დავიწყეთ და გვინდა, რომ ეს პროცესი ეტაპობრივად გაგრძელდეს.

ფარგას საქართველოში დაბრუნების პროცესში, აქტიურად იყო ჩართული გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო და მსოფლიო ბუნების დაცვის ფონდი, საცდელი რეჟიმით მოხდა 1000-მდე მცირე ზომის ფარგის იმპორტი, ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად კი დამატებით „სადედე ჯგუფის“ შემოყვანა განხორციელდა, რაც საშუალებას იძლევა, ყოველწლიურად, მდინარეში მილიონობით ლიფსიტა გაუშვან.

ლევან დავითაშვილი, გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი:

- დავიწყეთ ათასობით ლიფსიტის დაბრუნება ჩვენს მდინარეებსა და ტბებში. განსაკუთრებით აღსანიშნავია, გადაშენებული სახეობა ფარგა, რომელიც გვყავდა როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, წელს პირველად დავიწყეთ ამ სახეობის დაბრუნება და აღდგენა. ეს არის პროცესი, რომელსაც სამოქალაქო საზოგადოება წარვმართავთ საყდრისის კომიტეტის აქტიური ჩართულობით. კომპანია მჭიდროდ თანამშრომლობს ჩვენთან, სხვადასხვა ეკოლოგიურ თუ სოციალურ პროექტში.

გოგი მეშველიანი, „ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ ბოლნისის, დმანისის, თეთრიწყაროს, წალკის ოლქში მაჟორიტარი დეპუტატობის კანდიდატი:

- მდინარე მაშავერას ხეობაში ძალიან მნიშვნელოვანი პროექტი ხორციელდება, გარკვეულმა მოვლენებმა, მათ შორის მინგეჩაურის წყალსაცავის მშენებლობამ, გამოიწვია ამ ენდემური სახეობის ჩვენი მდინარეებიდან გაქრობა, გარდა ამისა, ეს მდინარე გარკვეული ეკოლოგიური დაბინძურების კერა იყო. იმედი მაქვს, რომ პროექტი წარმატებით დასრულდება და ჩვენს მდინარეში ეკოსისტემა გაცილებით მრავალფეროვანი და ჯანსაღი გახდება.

კომპანია ,,არემჯიმ'' 2018 წლიდან, გარემოს დაცვითი პროგრამის ფარგლებში, წყლის კომპონენტზე ზრუნვის მიმართულებით, მრავალი ღონისძიება გაატარა. შედეგების წარმოჩენის მიზნით, რეგიონის მდინარეებში ბიომრავალფეროვნების აღდგენის პროცესის დაგეგმვა, საქართველოში ფარგის დაბრუნების პროექტი, სწორედ აღნიშნულის დასტურია. პროექტის მნიშვნელობა გასცდა ქვემო ქართლის რეგიონს და მთელი საქართველო მოიცვა.

მაგდა დევნოზაშვილი

სარედაქციო კოლეგია
მთავარი რედაქტორი: ნინო კარგარეთელი
პასუხისმგებელი მდივანი: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: დარეჯან ოქრუაშვილი, მაგდა დევნოზაშვილი, ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი. სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.